,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2020 წლის #69/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის № 38/2020 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი ოქმი)

ქ. თბილისი

30 მაისი, 2020 წელი,
13:30 სთ

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი - 1. ანასტასია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), 2. ეკატერინე ფირცხალავა (თავმჯდომარის მოადგილე); 3 თამარ აბაშიძე, 4. რუსუდან ციცქიშვილი 5. მედეა დესპოტაშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2020 წლის #69/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის № 38/2020 დადგენილებით დამტკიცებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და გამარჯვებული პრეტენდენტების გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ანასტასია ქიტიაშვილისა და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე დაწვრილებითი განიხილეს გასაუბრების დეტალები და გასაუბრებაზე პრეტენდენტთა გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, თითოეული კონკურსანტის საკითხი ელექტრონული ფორმით დადგა კენჭისყრაზე ცალ-ცალკე.
კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში

1. გიორგი ყიფიანი - გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 5 წევრი, წინააღმდეგი -0 წევრ

2. ელენე კვანჭილაშვილი- გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 5 წევრი, წინააღმდეგი -0 წევრი

როგორც კენჭისყრის შედეგებმა ცხადყო, რომ ორივე კანდიდატი აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2020 წლის #69/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების კონკურსში 2 ვაკანტურ ადგილზე მონაწილე პრეტენდენტები -გიორგი ყიფიანი და ელენე კვანჭილაშვილი - არჩეულ იქნენ ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

2. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 25 მაისის #38/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

1. კომისიის თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

2. მოადგილე ასოც. პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა

3. მდივანი ასოც. პროფესორი მედეა დესპოტაშვილი

წევრები:

4. ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე

5. პროფესორი რუსუდან ციცქიშვილი

30 მაისი, 2020 წელი

15:00 სთ